



საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 6 20 00000271

27/03/2020

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის  
მიზნით ღონისძიებების გატარების თაობაზე

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების, აგრეთვე „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №231 ბრძანების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №231 ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სამოქალაქო ოფისის ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოსამსახურეს (შემდგომში - მოსამსახურე) მიეცეს მისი ფაქტობრივად ყოფნის ადგილიდან, ინტერნეტ ქსელის მეშვეობით სამინისტროს კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გამოყენებით სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), აგრეთვე ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე წვდომა.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის აღსრულების მიზნით:

ა) სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს დაევალოთ მოსამსახურეების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რომლებსაც მათი ფაქტობრივად ყოფნის ადგილიდან, ინტერნეტ ქსელის მეშვეობით, სამინისტროს კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გამოყენებით ექნებათ სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), აგრეთვე ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე წვდომა;


ბ) სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს დაევალოს:

ბ.ა) შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება;

ბ.ბ) სამინისტროს მასშტაბით მოიძიოს და გამოყოს დამატებითი კომპიუტერული ტექნიკა („ნოუთბუქი“), თუ სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში აღმოჩნდება არასაკმარისი რაოდენობის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა („ნოუთბუქი“);

- გ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის ცენტრს დაევალოს:
- გ.ა) სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), აგრეთვე ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე მოსამსახურისთვის გადაცემული კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) უსაფრთხო წვდომა და მისი ტექნიკური მხარდაჭერა დისტანციურად;
- გ.ბ) მოსამსახურისთვის გადაცემული/გადასაცემი კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) კონფიგურაციის შეცვლა;
- დ) საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - კიბერუსაფრთხოების ბიურომ უზრუნველყოს უსაფრთხოების შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. მოსამსახურისთვის კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გადაცემა/დაბრუნება განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს მოსამსახურე და სამინისტროს სამოქალაქო ოფისის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.
4. მოსამსახურე, რომელიც წარმოადგენს მასზე გადაცემულ კომპიუტერულ ტექნიკაზე („ნოუთბუქი“) მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, ვალდებულია მასზე გადაცემული კომპიუტერული ტექნიკა („ნოუთბუქი“) გამოიყენოს მხოლოდ ამ ბრძანების მიზნებისთვის.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს დავით სუჯაშვილს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი  
ირაკლი ღარიბაშვილი





საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 0 20 00000293

03/04/2020

**„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით  
ღონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის  
27 მარტის NMOD 6 20 00000271 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ღონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის NMOD 6 20 00000271 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №231 ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სამოქალაქო ოფისის და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის (შემდგომში - გენერალური შტაბი) ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოსამსახურეს (შემდგომში - მოსამსახურე) მიეცეს მისი ფაქტობრივად ყოფნის ადგილიდან, ინტერნეტ ქსელის მეშვეობით სამინისტროს კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გამოყენებით სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), აგრეთვე ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე წვდომა.“;

**ბ) ბრძანების მე-2 პუნქტის:**

**ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს დაევალოთ იმ მოსამსახურეების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რომლებსაც მათი ფაქტობრივად ყოფნის ადგილიდან, ინტერნეტ ქსელის მეშვეობით, სამინისტროს კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გამოყენებით ექნებათ სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), აგრეთვე ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე წვდომა;“;

**ბ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**


„ბ.ბ) სამინისტროს მასშტაბით მოიძიოს და გამოყოს დამატებითი კომპიუტერული ტექნიკა („ნოუთბუქი“), თუ სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და გენერალური შტაბის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში აღმოჩდება არასაკმარისი რაოდენობის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა („ნოუთბუქი“);“;

**გ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. მოსამსახურისთვის კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გადაცემა/დაბრუნება განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს მოსამსახურე და სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ან გენერალური შტაბის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი  
ირაკლი ღარიბაშვილი





საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 1 20 00000320

16/04/2020

**„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით  
ლონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
2020 წლის 27 მარტის NMOD 6 20 00000271 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ლონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 27 მარტის NMOD 6 20 00000271 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ლონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №231 ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და თავდაცვის ძალების (შემდგომში - სამინისტრო) ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოსამსახურეს მიეცეს მისი ფაქტობრივად ყოფნის ადგილიდან, ინტერნეტ ქსელის მეშვეობით სამინისტროს კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გამოყენებით სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), აგრეთვე ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე, იურიდიული დოკუმენტების მართვის სისტემაზე (indacts.mil.ge) და სამთავრობო ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow.geo.gov.ge) წვდომა.“;

**ბ) ბრძანებას დაემატოს 1<sup>1</sup> პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„1<sup>1</sup>. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების (შემდგომში - სსიპ) მოსამსახურეებს, რომელთა ოპტიმალური რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სსიპ-ის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, მიეცეთ მათი ფაქტობრივად ყოფნის ადგილიდან, ინტერნეტ ქსელის მეშვეობით ამავე სსიპ-ის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გამოყენებით სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), აგრეთვე ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე, და იურიდიული დოკუმენტების მართვის სისტემაზე (indacts.mil.ge) წვდომა.“;

**გ) ბრძანების მე-2 პუნქტის:**

**გ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს დაევალოთ იმ მოსამსახურეების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, რომლებსაც მათი ფაქტობრივად ყოფნის ადგილიდან, ინტერნეტ ქსელის საშუალებით და სამინისტროს კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ექნებათ სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე, იურიდიული დოკუმენტების მართვის სისტემაზე (indacts.mil.ge) და სამთავრობო ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow.geo.gov.ge) წვდომა;“;

**გ.ბ) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ.ბ) სამინისტროს მასშტაბით მოიძიოს და გამოყოს დამატებითი კომპიუტერული ტექნიკა („ნოუთბუქი“), თუ სამინისტროს რომელიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფში აღმოჩნდება არასაკმარისი რაოდენობის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა („ნოუთბუქი“);“;

**გ.გ) „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ.ა) სამინისტროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow), ელექტრონულ სატელეფონო ცნობარზე, გრეთვე იურიდიული დოკუმენტების მართვის სისტემაზე (indacts.mil.ge) და სამთავრობო ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე (eflow.geo.gov.ge) მოსამსახურისთვის გადაცემული კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) უსაფრთხო წვდომა და მისი ტექნიკური მხარდაჭერა დისტანციურად;“;

**დ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. მოსამსახურისთვის კომპიუტერული ტექნიკის („ნოუთბუქი“) გადაცემა/დაბრუნება განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს მოსამსახურე და სამინისტროს ან სსიპ-ის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი  
ირაკლი ღარიბაშვილი

